წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერული – თანასწორობის საბჭოს“ 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2015 წლის 25 დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო–სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შექმნილია ეს საბჭო.

საბჭო წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ; უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

2018 წლის 19 დეკემბერს პროექტის „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში გამართული საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნული კონფერენცია საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელების კუთხით ჩატარებული მნიშვნელოვანი პროექტების თუ პროგრამების, კარგი მაგალითების გაცნობას, გაზიარებასა და წახალისებას ისახავს მიზნად.წყალტუბოს მუნიციპალტეტი სამ ნომინაციაშია გამარჯვებული. 1. მოსახლეობის ჩართულობა 2. გენდეული თანასწორობის თემატიკა 3. 2015წელს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის შექმნა და ფინანსური მხარდაჭერა. თემატიკა: „გენდერული თანასწორობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისი“(2021წელი)

ქალთა აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია:

მე - 6 მოწვევის საკრებულო (2018 – 2021წ.წ.) სულ 35 – 2 = 33 წევრი

კაცი - 28 – 85 %, ქალი - 5 – 15 %

მე - 7 მოწვევის საკრებულო (2021 – 2024წ.წ.) სულ 39 წევრი

კაცი - 29 - 74 %, ქალი - 10 – 26 %

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და კომისიის თავმჯდომარეები, არასამთავრობო ორგანიზაციები: 1. კულტურულ–ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 2. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“ 3.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკეთოთ ერთად" 4. საზოგადოებრივი კავშირი "ანდამატი" 5. არასამთავრობო ორგანიზაცია "LIONS CLUB" სულ 5 არასამთავრობო და სხვა. საბჭოში გაერთიანებული არის 25 წევრი, აქედან 18 ქალი და 7 კაცი. გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საკრებულოსთან და იმერეთის პრობაციის წყალტუბოს ოფისთან.

2020 წლის 28 დეკემბერი წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ"

12 თებერვალი გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა სადაც განვიხილეთ შემდეგი საკითხები: 1. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წლის სტატისტიკის შესახებ. (ს. ბერძენაძე) 2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. (მ.კიკალიშვილი, ლ.ბერძენიშვილი) 3. „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ. " (გ.თათარაშვილი) 4. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალი, მშვიდობა და უსაფრთხოება" ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ. (მ.კიკალიშვილი, ლ.ბერძენიშვილი) 5. 2021 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ. (ი.ხელაძე) 6. 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 3 მარტისა და 8 მარტის ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ (მ.კიკალიშვილი, ლ.ბერძენიშვილი)

18 – 19 თებერვალი კულტურულ - ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი" 18-19 თებერვალს, ონლაინ ფორმატში ჩატარდა ტრენინგი დასავლეთ საქართველოს თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის თემაზე - "მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა".

8 მარტი ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, №22 სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, გენდერული თანასწორობის საბჭომ 8 მარტი მიულოცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რაი საავადმყოფოს მედპერსონალს. შეუფასებელია მედპერსონალის თავდაუზოგავი შრომა დღევანდელ სიტუაციაში.

17 მარტს კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმთან" თანამშრომლობით პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტების მოგვარებისათვის" შეიქმნა ქალთა საინიციატივო ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან : გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, საჯარო მოხელეები, იძულებით გადაადგილებული პირები, ინკლუზიური ცენტრის, სკოლისა და ბაღის პედაგოგები, პრობაციის წარმომადგენელი და სხვა აქტიური მოქალაქე ქალბატონები.

18-19 მარტი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“

24 მარტს ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი რეზოლუცია 1325 დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ რეზოლუცია 1325 სამუშაო ჯგუფის წევრები და ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები.

26-27-28 მარტი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარდა გასვლითი ტრენინგი, პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტების მოგვარებისათვის“ მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფებისათვის. მუნიციპალიტეტში შექმნილია 3 საინიციატივო ჯგუფი: ახალგაზრდული, სკოლის მოსწავლეებისათვის და ქალთა საინიციატივო ჯგუფი.

8 აპრილი კულტურულ - ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ გაიმართა შეხვედრა ქალთა საინიციატივო ჯგუფთან. საუბარი იყო შემდეგ საკითხებზე როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფის შექმნა, ადვოკატირება, კითხვა პასუხი და სხვა. ჯგუფის წევრების მიერ მოხდა საკითხების გადანაწილება დავალების სახით, რომლებიც წარდგენილი იქნა მომდევნო თვეში.

25 მაისი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ZOOM - ის პლატფორმაზე თემა: „ადვოკატირება“, ტრენერი ეკატერინე გამახარია.

2 ივნისი თემატური შეხვედრა ШМ პირთა საბჭოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, რომლებსაც წარედგინათ კვლევის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემები და შემუშავებული რეკომენდაციები. ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს ,,მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში'', რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.

3 – 4 ივნისი არასამთავრობო ორგანიზაცია PIN - მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი ZOOM - ის პლატფორმაზე თემა: „გენდერული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე“, ტრენერი იურისტი ქეთი ბახტაძე.

16 ივნისი ონლაინ სასწავლო სემინარი ZOOM - ის პლატფორმაზე „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“, ტრენინგი ქარტიის ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისათვის.

17 ივნისი „გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია“ ZOOM - ის პლატფორმაზე

17 ივნისი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა ხელი მოაწერა „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიას“

21-22 ივნისი ქალაქ ბათუმში ჩატარდა ტრენინგი „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისათვის. თამარ მამარდაშვილი საკრებულოს წევრი,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ირმა ხელაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

22 ივლისი ონლაინ შეხვედრა ZOOM - ის პლატფორმაზე საქართველოს პარლამენტის წევრი, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარესთან ნინო წილოსანთან. შეხვედრის საკითხები: გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო გეგმა, საბჭოს ბიუჯეტი, თანამშრომლობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამთავრობო სექტორთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ანა მაგრაქველიძე, მზია კიკალიშვილი, ლელა ბერძენიშვილი, მაკა ჭელიძე და ირმა ხელაძე.

31 აგვისტო შეხვედრა ZOOM - ის პლატფორმაზე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივ ღონისძიება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ 2021-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში სახელმწიფო უწყებების, სამიზნე მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი სემინარი.

13 სექტემბერი ონლაინ ღონისძიება ZOOM - ის პლატფორმაზე „სექსიზმის პრევენცია და ბრძოლა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ გზამკვლევის პრეზენტაცია. ღონისძიება ორგანიზებული იყო პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებენ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი და დემოკრატიის, არჩევნებისა და სამოქალაქო საზოგადოების გენერალური დირექტორი, ავსტრიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

17 სექტემბერი ZOOM - ის პლატფორმაზე კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, „ევროკავშირი საქართველოსთვის“ ონლაინ კონფერენცია „ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება და ჩართულობა საჯარო მმართველობის რეფორმის (IPAR) მონიტორინგში - გურია, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთში მიღებული კაგვეთილები.

20 სექტემბერი ონლაინ ღონისძიება ZOOM - ის პლატფორმაზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს **საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ კვლევის** შედეგები. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს - „გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაცია“ აღნიშნული კვლევა საჯარო სამსახურის ბიუროს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივ ინიციატივაა და ჩატარდა პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (GG4GEG) ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. კვლევა მიზნად ისახავდა მტკიცებულებების შეგროვებას სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის შემუშავების ხელშესაწყობად.

24 სექტემბერი საქართველოს სახალხო დამცველი ონლაინ კონფერენცია ZOOM - ის პლატფორმაზე „ქალები და მობილობა - ქალთა ყოველდღიური გადაადგილების ასპექტები“. კონფერენციაზე განხილული იქნა მობილობის გენდერული ასპექტები საქართველოში, საჭიროებები და თავისებურებები COVID-19-ით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვების ჩათვლით. ასევე, რამდენადაა ეს საჭიროებები დაფარული უკვე არსებული მუნიციპალური სერვისებით.

29 ოქტომბერი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაიმართა ონლაინ ღონისძიება, რომლის თემაც იყო „აზროვნების ტრანსფორმაცია და ორგანიზაციული კლიმატის გაუმჯობესება საჯარო სამსახურში: მიღწევები და გამოწვევები“.

30 ნოემბერი ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კამპანიის "16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში შეხვედრა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: ქუთაისის, წყალტუბოს, თერჯოლის, ვანის, სამტრედიის, ბაღდათის,ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ტყიბულისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.

2 დეკემბერი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაიმართა ონლაინ ღონისძიება თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა საჯარო სამსახურში“.

6 დეკებერი ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის მიერ გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე: “ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საქართველოში“ შეხვედრის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

9 დეკემბერი უთანასწორობის შემცირება და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის მიერ, ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 09). ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, მნიშვნელოვანია მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2021წლის 1 იანვრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან შესულია 123 შეტყობინება. გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოსთან, საიდანაც ყოველწლიურად გვაწვდიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ძალადობასთან და ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით არსებულ სტატისტიკას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქირით საცხოვრებლად დაფიქსირებულია 15 მოქალაქე, აქედან 3 ძალადობის მსხვერპლი

24 დეკემბერი ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა), გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა წლის შემაჯამებელი შეხვედრა გენდერული თანასწორობის ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი მუნიციპალიტეტებში. სადაც მონაწილეობდნენ საკანონმდებლო და ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების,სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

ნინო წილოსანი - საქართველოს პარლამენტის დეპუტატი,პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

მზია გიორგობიანი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე.

ნიკო თათულაშვილი - პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხებში

თამარ საბედაშვილი - საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოადგილე.

ნათია ღვინაშვილი - ათეას აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მომავალ წელსაც აქტიურად გააგრძელებს თავის საქმიანობას. 2022 წელს მოხდება გენდერული თანასწორობის საბჭოს განახლება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის შექმნა და განხორციელება.

მოამზადა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი: მ. კიკალიშვილი

180